

აჭარის ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტი

2013-2015 ანგარიში

- **ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტის განვითარების სტრატეგიული გეგმა**

რეგიონში ტურიზმის განვითარების ხელშეწყობის პროგრამის ფარგლებში შემუშავებულია „2015-2018 წლების ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტის განვითარების სტრატეგიული გეგმა“, რომლის საფუძველზეც დაიგეგმა 2015-2018 წლების დეპარტამენტის პროგრამული ბიუჯეტი.

- **პროგრამა „ტურიზმის განვითარების ხელშეწყობის“ ფარგლებში ბოლო სამი წლის მანძილზე გამოყოფილი იყო:**

2013 წელი: 2 667 000 ლარი

2014 წელი: 3 000 000 ლარი

2015 წელი: 3 683 000 ლარი

- **მარკეტინგული ღონისძიებები საერთაშორისო და შიდა ბაზარზე**

რეგიონის ტურისტული პოტენციალის პოპულარიზაციის მიზნით, სარეკლამო და მარკეტინგული კამპანიები განხორციელდა 2013 წელს 7 ქვეყნის, 2014 წელს 9 ქვეყნის, ხოლო 2015 წელს 10 ქვეყნის ტურისტულ ბაზარზე: ისრაელში, პოლონეთში, თურქეთში, უკრაინაში, ლიტვაში, ბელორუსიაში, ყაზახეთში, აზერბაიჯანში, სომხეთში და საქართველოში.

- **საერთაშორისო ტურისტული გამოფენები**

დეპარტამენტი მონაწილეობდა 2013 წელს 15 საერთაშორისო ტურისტულ გამოფენაში, ხოლო 2014 წელს 20 საერთაშორისო ტურისტულ გამოფენაში, 2015 წელს კი 25 საერთაშორისო ტურისტულ გამოფენაში.

- **საერთაშორისო ღონისძიებებსა და ეკონომიკურ ფორუმებში მონაწილეობა:**

ყაზახეთი, უკრაინა, საფრანგეთი, ბულგარეთი, კვიპროსი, თურქეთი

- **ინტერნეტ რეკლამისა და ონლაინ მარკეტინგული ღონისძიებები**

2013 წელს შეიქმნა აჭარის ტურიზმის დეპარტამენტის ახალი ოფიციალური ვებ-გვერდი-www.goBatumi.com ქართულ, რუსულ და ინგლისური ენებზე, 3 წლის მანძილზე ხორციელდებოდა ინტერნეტ რეკლამა და ონლაინ მარკეტინგული ღონისძიებები.

2015 წელს მოხდა არსებული ვებ-გვერდის მოდერნიზაცია, მობილურ მონაცემთა მორგება.

გარდა ტრადიციული მარკეტინგული ღონისძიებებისა, დეპარტამენტი წლის დასაწყისიდან ღრმად აღნიშნულ სამიზნე ქვეყნებში ახორციელებს რეგიონის ონლაინ რეკლამირებას სოციალური მედია ინსტრუმენტებისა და საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენებით, შედეგად,

108 238 ვიზიტორი ვებ-გვერდზე: www.goBatumi.com.

101 525 მომხმარებელი სოციალურ ქსელში

410 0000 ყოველთვიური წვდომა სოციალურ მედიაში.

- **ახალი ტურისტული მარშრუტები**

2013-2015 წლებში დეპარტამენტმა მოახდინა 15 ახალი ტურისტული მარშრუტის შედგენა და მარკირება. პროექტი გულისხმობს ნიშნულების განთავსებას ყველა მარშრუტზე და აჭარის ერთიან ეკოტურისტული ელექტრონული და საბეჭდი რუქების დამზადება/დაბეჭდვა.

- **სოფლად ტურიზმის ევროპულ ფედერაციის „Eurogites“ წევრობა**

ევროპის სოფლად ტურიზმის ფედერაციაში განწევრიანებით აჭარის ტურისტული მეურნეობები მოხდება სოფლად ტურიზმის საერთაშორისო საინფორმაციო ბაზაში. აჭარის ა.რ ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტს საშუალება მიეცემა მიიღოს ევროპული გამოცდილება, დაწეროს ევროპული/საერთაშორისო სტანდარტები და მონაწილეობა მიიღოს ფედერაციის სხვადასხვა აქტივობებში, რაც ხელს შეუწყობს როგორც რეგიონის სოფლად ტურიზმის განვითარებას, ისე აჭარის რეგიონის სოფლად ტურიზმის ცნობადობის გაზრდას ევროპის მასშტაბით.

- **რეგიონში სერვისის გაუმჯობესების მიზნით განხორციელებული ღონისძიებები**

2013-2015 წლებში აჭარის რეგიონის კერძო ტურისტულ ობიექტებში (განთავსების და კვების ობიექტები) გადამზადდა:

2013 წელს-230 ადამიანი

2014 წელს- 220 ადამიანი

2015 წელს - უკვე გადამზადდა 155

წლის ბოლომდე გადამზადდება: 145 ადამიანი

სულ: 750 კადრი

- **ტურიზმის საინფორმაციო ცენტრები**

2015 წელს რეგიონის მასშტაბით სეზონზე 8 ტურისტული საინფორმაციო ცენტრი მოქმედებ, რომელთაგან ერთ-ერთი (საბაგირო გზასთან) მთელი სეზონის მანძილზე 24 საათის განმავლობაში ფუნქციონირებს. მოქმედებს ცხელი ხაზი : 577 90 90 93

2013- 5 საინფორმაციო ცენტრი

2014- 8 საინფორმაციო ცენტრი

2015- 8 საინფორმაციო ცენტრი, წლის ბოლომდე დაემატება ახალი საინფორმაციო ცენტრი ბათუმის ახალ რკინიგზის სადგურში.

- სასტუმრო სექტორში ზრდის ტენდენცია

(სასტუმროები, ჰოსტელები, სასტუმროს ტიპის სახლები, აპარტ ოტელები)

პერიოდი	განთავსების ობიექტების რაოდენობა	განთავსების ადგილთა რაოდენობა
2012	278	10367
2013	292	10890
2014	433	13715
2015	449 (+16 სასტუმრო)	14828

- სტატისტიკა და ანალიტიკა

2013 წლის, აჭარის ტერიტორიაზე არსებული სასტუმროების მონაცემების მიხედვით სასტუმროს მომსახურეობით 393617 ადამიანმა ისარგებლა, რაც წინა წლის იანვარ-დეკემბერთან შედარებით 9,68 %-ითა მეტი იყო.

2014 წელს - ზრდა შეადგენდა 10,47%.

2015 წლის იანვარ-ივლისში გასული წლის იგივე პერიოდთან შედარებით დაფიქსირდა 5,8%-იანი ზრდა.

2015 წლის იანვარ -აგვისტოსში ზრდა 3%-ს შეადგენდა.

2014 წელს დაიწყო და მიმდინარეობს ორი პროექტი:

1. აჭარის ტურიზმის სტატისტიკის ახალი მეთოდოლოგიის შემუშავება (რომელიც ოფიციალურ განთავსების ობიექტებთან ერთად შეიცავს დაურეგისტრირებელი ობიექტებს დატვირთვის კოეფიციენტს)
2. ადგილობრივი და უცხოელი ტურისტების კვლევის მეთოდოლოგია